გიორგი გაგნიძე

ეკონომიკის სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო

და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეკა ყუბუსიძეს

მპგ „შეცვალე საქართველოს“ თავმჯდომარის

გიორგი გაგნიძის

წერილი

მოგესალმებით ქალბატონო ეკა,

მოგახსენებთ, რომ ვართ ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია „შეცვალე საქართველო“, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება აქვს დაგეგმილი საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, ელექტრონული არჩევნებისა და რეფერენდუმის სისტემის შემოღების კუთხით.

ამჟამად, ჩვენ ვამზადებთ პროექტს არჩევნების ელექტრონულად (ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით) ჩატარების შესახებ და გვჭირდება თქვენთან კონსულტაცია, რათა გავიგოთ თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხით სახელმწიფო სისტემებში არსებული მდგომარეობის შესახებ (რომ ვიცოდეთ საიდან დავიწყოთ და რა გვექნება გასათვალისწინებელი).

გთხოვთ შეხვედრას თქვენთან ან ნებისმიერ კომპეტენტურ წარმომადგენელთან.

მადლობა წინასწარ!

პატივისცემით,

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების

თავმჯდომარე: გიორგი გაგნიძე

03.03.2021

შეცვალე საქართველო

რუსთაველის გამზ. 14. თბილისი 0108, საქართველო

+995 32 298 21 21 • 21@modefy.world

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „შეცვალე საქართველო“

WWW.MODEFY.WORLD